ბენედიქტელთა ორდენისა და პეტრიწონისა და ვაჰანის ქვაბთა ქართული მონასტრების ტიპიკონები

შალვა მინდაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა - შუა საუკუნეების კვლევები (ისტორია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა ყარაულაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიევისტიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით

თანახელმძღვანელი: თამაზ კოჭლამაზაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი, რელიგიისა და კულტურის კვლევების მიმართულებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

„ როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

შალვა მინდაძე, 29.01.2023 წ



აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი, „ბენედიქტელთა ორდენისა და პეტრიწონისა და ვაჰანის ქვაბთა ქართული მონასტრების ტიპიკონები“ წარმოადგენს დასავლური კათოლიკური ეკლესიის ერთ - ერთი გამორჩეული ორდენის, ბენედიქტელებისა და ორი ქართული მონასტრის, პეტრიწონისა და ვაჰანის ქვაბთა, ტიპიკონების ტიპოლოგიური შედარების მცდელობას. სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს ამ ტიპიკონების ურთიერთშედარებას, მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების გამოვლენასა და მათი შესაძლო გამომწვევი მიზეზების მოძიებასა და ანალიზს. უფრო განზოგადებულად კი, ნაშრომში განსაზღვრული იქნება (მიკვლეული პარალელების არსებობის შემთხვევაში) ქართული და ევროპული მონასტიციზმის საერთო მახასიათებლები. ჩემი მიზანი საკითხის ირგვლივ არსებული ნარატიული წყაროებისა და არსებული ლიტერატურის შესწავლაა. ამასთან, ნაშრომში წარმოჩინდება არა მხოლოდ კონკრეტული ტიპიკონების ერთმანეთთან შედარება, არამედ მკაფიოდ გაანალიზდება თითოეული წესი. წესების დეტალური ანალიზი დაგვეხმარება გამოვავლინოთ, თუ რა იყო დასავლურ-აღმოსავლური სამონასტრო ურთიერთობების როგორც ძირითადი, ისე საერთო მახასიათებლები და როგორ მოხდა ამ მახასიათებელთა ასახვა ქართული შუა საუკუნეების კულტურასა და ყოველდღიურობაში.

ნაშრომში ყურადღება გამახვილდება ყოველდღიურობის ისტორიის შესწავლისას განსახილველ საკითხებზე, კერძოდ, მონასტრის ძმობის რიცხოვნობაზე, ძმების დასებად დაყოფაზე, თანამდებობებზე (წინამძღვარი, იკონომოსი, დეკანოზი, მოძღვარი და ა.შ.) და მათ (ძმების) უფლება-მოვალეობებზე, სამონასტრო გამგებლობაზე. აგრეთვე წინამძღვრის უფლება-მოვალეობებსა და მისი არჩევის წესსზე. ცალკე განხილვის საგანი გახდება მმართველობის დემოკრატიული და არისტოკრატულ მოდელები. განვიხილავთ მონასტრის მიერ დადგენილ აკრძალვებსა და მათი დარღვევის შემთხვევაში დაწესებულ სასჯელს, ლოცვის/ღვთისმსახურების წეს-განგებებს, გარეგნულ აღწერილობას, მეურნეობას, შრომისადმი დამოკიდებულებას, მორჩილების

ფორმებს, ტრაპეზს, სამოსს, ნივთებს,ზომა-წონის ერთეულებს, უცხოთა გამასპინძლებასა და სნეულთათვის ზრუნვას; კვლევის საგანი გახდება აგრეთვე ერთი მხრივ, ქტიტორებს/დამფუძნებლებს/საერო ხელისუფალთა და, მეორე მხრივ, მონასტრებს შორის არსებული ურთიერთობები.

საკვანძო სიტყვები: მონასტიციზმი, ტიპიკონი, ბენედიქტელები, პეტრიწონი

Abstract

The master's thesis titled "Typica of the Benedictine Order and the Georgian Monasteries of Petritsoni and Vahan Caves " aims to compare the typology of the Benedictines, one of the prominent orders of the Western Catholic Church, with the typica of two Georgian monasteries, Petritsoni and Vahan Caves.

The master's thesis aims to make a comparison of these typica, including identifying existing similarities and differences, and conducting a search and analysis of their possible causes.

The study intends to examine narrative sources and existing literature related to the topic. It not only presents a comparison of specific typica but also establishes a general context to reveal the main characteristics of Western-Eastern monastic relations and their reflection in Georgian medieval culture and daily life.

In comparing the monastic orders, particular attention will be given to various aspects, including the size of the monastery's brotherhood, the division of brothers into groups, positions (such as leader, steward, deacon, pastor, etc., as mentioned in Georgian sources), their rights and duties, monastic governance, the rights and duties of the leader, and the manner of his election. Separate discussions will focus on democratic and aristocratic models of governance, as well as monastic discipline in general. Prohibitions established by the monastery and the corresponding punishments for their violation, rules of prayer/worship, external descriptions, farming practices, attitudes towards work, forms of obedience, food, clothing, material possessions, units of weight, hospitality towards strangers, and care for the sick will also be explored. Additionally, the research will examine the relationships between the founders/secular authorities and the monasteries.

მადლობა

პირველ რიგში, ეკუთვნის ჩემს უნივერსიტეტსა და ხელმძღვანელებს, რომლებმაც საშუალება მომცეს ამ ტიპის კვლევითი საქმიანობა დამეწყო, რადგან მათი მხრიდან მსგავსი მოტივაციის მოცემის გარეშე, თემის დასრულება კიდევ უფრო რთული პროცესი იქნებოდა ჩემთვის. მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომელიც ამ ერთი წლის განმავლობაში მამხნევებდა და მხარს მიჭერდა.

განსაკუთრებული მადლობა ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელებს - ქალბატონ ირმა ყარაულაშვილსა და ბატონ ექვთიმე კოჭლამაზაშვილს. მათი ჩართულობის, დაუღალავი შრომისა და მხარდაჭერის გარეშე, რთული იქნებოდა დასახული მიზნის მიღწევა.

მადლობა ჩემს კურსელებსა და მეგობრებს, ასევე ლექტორებს, რომლებმაც დაუღალავად იშრომეს ჩემი პროფესიული განვითარებისთვის. მადლობა მათ რთულ მომენტებში, საჭირო რჩევებისა და მოტივაციის მოცემისთვის.

მადლობა, ჩემს ლექტორს, ქალბატონ მანანა ჯავახიშვილს, რომ დამეხმარა საკვლევი თემისა და მიზნების სწორად ჩამოყალიბებაში.

მიუხედავად გარკვეული წინაღობებისა, ვფიქრობ, რომ აღებულ პასუხისმგებლობას, ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად გავართვი თავი და ამაში დიდი როლი იმ ადამიანებს მიუძღვით, რომლებიც გასული ერთი წლის განმავლობაში, ჩემი პიროვნული თუ პროფესიული განვითარებისთვის ზრუნავდნენ.